თუ ვინმე შემოიტანს ჩვენს ამ საქმეში (ისლამში) რაიმეს ახალს, რაც მას არ ეკუთვნის, ის იქნება უარყოფილი

აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადამოცემულია, რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თუ ვინმე შემოიტანს ჩვენს ამ საქმეში (ისლამში) რაიმეს ახალს, რაც მას არ ეკუთვნის, ის იქნება უარყოფილი». (ერთსულოვნად გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა). მუსლიმის ვერსიაში ნათქვამია: «ვინც ჩაიდენს რაიმეს, რაზეც ჩვენი ნებართვა არ არსებობს, იქნება უარყოფილი!»
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ვინც გამოიგონა ახალი რამ რელიგიაში ან გააკეთა ისეთი საქმე, რაზეც არ არის არავითარი არგუმენტი ყურანიდან და სუნნადან, ის მიბრუნებული იქნება თავის პატრონთან (ჩამდენთან) და არ იქნება მიღებული ალლაჰის წინაშე.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4792

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee